

მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი და სოციალური დომინანტობის
ორიენტაცია რელიგიურ და არარელიგიურ მასწავლებლებთან და
რელიგიური და სეკულარული ატმოსფეროს მქონე სკოლებში

ზურაბ ჯიშკარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზურა ჯიშკარიანი

4 იანვარი 2019 წელი

აბსტრაქტი

რელიგიურობას, მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმსა და სოციალური დომინანტობის ორიენტაციის მიმართებებზე კვლევები არცთუ ისე მრავალფეროვანია და ეს სამი კონსტრუქტი, ძირითადად, წინარწმენის კვლევებში, მის პრედიქტორთა რანგში, გვხვდება. მოცემული კვლევის მიზანი იყო, გაეზომა რელიგიურობა, მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი და სოციალური დომინანტობის ორიენტაცია, ზოგადად, მასწავლებლებში და, მეორე მხრივ, რელიგიური (შავნაბადას სკოლა) და არარელიგიური ატმოსფეროს (ნიუტონის) მქონე სკოლის მასწავლებლებში. ჰიპოთეზასთან ნაწილობრივ თანხვედრაში, კვლევამ, რომელშიც 78 მასწავლებელი მონაწილეობდა აღნიშნული ორი სკოლიდან, აჩვენა, რომ რელიგიური ატმოსფეროს მქონე სკოლის მასწავლებლებში უფრო მაღალია რელიგიურობისა და მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმის ხარისხი, ვიდრე არარელიგიური ატმოსფეროს მქონე სკოლის მასწავლებლებში, თუმცა სხვაობა არ გამოვლენილა სოციალური დომინანტობის ორიენტაციისთვის. კვლევამ, ასევე, გამოავლინა რელიგიურობის გავლენა მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმზე და გავლენის არ-ქონა სოციალური დომინანტობის ორიენტაციაზე. მოცემული შედეგი, არსებულ თეორიულ და ემპირიულ ნაშრომებთან ერთად, ცხადყოფს, რომ რელიგიურობა ფაქტორია მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმისთვის, ხოლო სოციალური დომინანტობის ორიენტაციისთვის ის არ წარმოადგენს ფაქტორს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რელიგიურობა, მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი, სოციალური დომინანტობის ორიენტაცია, მასწავლებლები.

Abstract

Studies carried out about the associations between the right-wing authoritarianism (RWA), social dominance orientation (SDO) and religiosity are not really diverse, and the three constructs are mainly used in prejudice studies as its predictors. The aim of the current study was to measure religiosity, RWA and SDO among teachers in general and among teachers of two schools with religious (Shavnabada) and non-religious (Newton Free School) environments. Lending partial support to hypotheses, the study with the participation of 78 teachers from the mentioned two schools showed that teachers from schools with religious environment have higher levels of religiosity and RWA, than those from schools with non-religious environment, but no significant differences were found in regard to SDO. Also, the study revealed effects of religiosity level on RWA and no effect on SDO. The given findings, together with previous theoretical and empirical works, suggest that religiosity is a factor for RWA, but the same is not the case for SDO.

Key words: religiosity, right-wing authoritarianism, social dominance orientation, teachers.